

**სკოლა „აპოდიქსის“ ბოლო 2 წლის მიღწევები
2012 - 2013 წლების შეჯერება**

#	მნიშვნელოვანი ღონისძიებები/კონკურსები/ მიღწევები	მოკლე აღწერა	დრო
1.	„წლის ტალანტი“	გამოვლინდა სკოლის „წლის ტალანტი“ - XI კლასის მოსწავლე ანა მიმინოშვილი, რომელიც გათავისუფლდა სწავლის გადასახადისაგან 2011-2012 სასწავლო წლის დასრულებამდე.	04. 02. 12
2.	ფოტო-კონკურსი - ახალი წელი სკოლაში	სკოლა „აპოდიქსის“ ფოტო მონაწილეობას იღებდა, სოციალურ ქსელ facebook- ში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ახალი წელი სკოლაში“.	11.02.12
3.	მოსწავლეთა 66-ე სასწავლო - შემოქმედებითი კონფერენცია	მოსწავლეთა 66-ე სასწავლო - შემოქმედებით კონფერენციაზე გამარჯვებული თემები: 1. სექცია - ეთნოგრაფიის; მოსწავლე - მანანა გუგუნავა (XI კლ.); თემა - „ღვინო - მევენახეობა - სადღეგრძელოები“. ხელმძღვანელი - მ. ხარებავა 2. სექცია - ხელოვნებათმცოდნეობის. მოსწავლე - ცოტნე გაბელია (X კლ.). თემა - „კარიკატურა - ცხოვრების მრუდე სარკე“. ხელმძღვანელი - შ. კორშია	15.02.12
4.	ფოტო- კონკურსი - „ჩემი საყვარელი სკოლა“	სასკოლო ფოტომ მონაწილეობა მიიღო facebook-ზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში - „ჩემი საყვარელი სკოლა“.	22.02.12
5.	„ჩემი სკოლის ლოგო“	„აპოდიქსის“ სკოლის ლოგომ მონაწილეობა მიიღებო facebook-ზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში - „ჩემი სკოლის ლოგო“;	22.02.12
6.	„ყველაზე ჭკვიანი“	10 მარტს ტელეკომპანია რუსთავი 2-ის პროექტ „ყველაზე ჭკვიანის“ შესარჩევ ტურში მონაწილეობა მიიღეს VI კლასის მოსწავლეებმა: გიორგი გაჩეჩილაძემ, მერაბ ნაროუშვილმა და რაულ კუპრეიშვილმა.	10.03.12
7.	ავტორიზაცია	26 აპრილს სკოლა „აპოდიქსმა“ წარმატებით გაიარა ავტორიზაცია.	26.04.12
8.	ინტელექტის დღე	სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლეებმა წარმატებით იასპარეზეს (საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და კლუბ „რა? სად? როდის?“ მიერ განხორციელებულ) პროექტში „ინტელექტის დღე. „ინტელექტის დღისთვის“ შეირჩა 8 საუკეთესო მოსწავლე: ზ. ქარდავა; გ. ყურაშვილი; ბ. ფაჩულია; ე. ჯიქია; მ. ლაშქარავა; მ. გუგუნავა; ც. გაბელია; მ. გოგია.	12.04.12
9.	კურსდამთავრებულები	სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლეებმა წარმატებით დაასრულეს საატესტატო გამოცდები	01.06.12
10.	გაცვლითი პროგრამა „ფლექსი“	მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა FLEX – ის პირველი ტური გადალახა სკოლა „აპოდიქსის“ XI მოსწავლე - ცოტნე გაბელიამ.	10.10.12
11.	რა? სად? როდის?	სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა სკოლებსშორისი ინტელექტუალური შეჯიბრი - რა? სად?	25.10.12

		როდის? მეგობარ სკოლა „არეასა“ და სკოლა „აპოდიქსის“ XI კლასელების მონაწილეობით. შეჯიბრი დასრულდა „აპოდიქსელების“ გამარჯვებით. გამარჯვებულ კლასს გადაეცა სიგელი.	
12.	ინტელექტ-კლუბი „ერუდიქსი“	სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა ინტელექტუალური ღონისძიება - „ერუდიქსი“, რომლის გამარჯვებულებიც გახდა XII კლასის მოსწავლე - გიორგი ყურაშვილი; გამარჯვებულს ერთი ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილი დაიკავა XI კლასის მოსწავლე - ზურა ქარდავამ. გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სიგელითა და ფასიანი საჩუქრებით.	31.10.12
13.	პროექტი - ექსკურსია კახეთში	2012 წლის 27 და 28 ოქტომბერს სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლეებმა მოაწყვეს ორდღიანი ექსკურსია კახეთში. მოსწავლეებმა დაათვალიერეს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, მოილოცეს აბიბოს ნეკრესელის სახელობის ეკლესია, გრემი, შემდეგ დაბინავდნენ თელავში, დაათვალიერეს ეს მშვენიერი ისტორიული ქალაქი; მეორე დღეს მოინახულეს: ერეკლე მეორის სახლ-მუზეუმი, შემდეგ ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი წინანდალში. პროექტის ხელმძღვანელი: ბეატრის რუსია	27-28 10.2012
14.	გალაკტიონ ტაბიძის იუბილე	გალაკტიონ ტაბიძის იუბილესთან დაკავშირებით, სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლეებმა და პედაგოგებმა მოინახულეს პოეტის სახლ-მუზეუმი ჭყვიშში.	17.11.12
15.	საჩუქარი	„ნოუთბუქები“ – 2012 წლის საჩუქარი უცხოელი მეგობრებისაგან სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლეებს	21.11.12
16.	„ერუდიქსი“ 7-9 კლასებში	სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა ინტელექტუალური ღონისძიება „ერუდიქსი“ 7-9 კლასებში. გამარჯვებული გახდა VIII კლასის მოსწავლე - ნიკა ქეცბაია (დაჯილდოვდა სიგელითა და ფასიანი საჩუქრით).	26.11.12
17.	ხილთა პაექრობა	3 დეკემბერს სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა II კლასის ღონისძიება - „ხილთა პაექრობა“, რომლითაც ბავშვებმა გააცილეს შემოდგომა. ხელმძღვანელი - თეა თაქთაქიშვილი	03.12.12
18.	„სხვა საქართველო სად არის“	5 დეკემბერს სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა V კლასის ღონისძიება „სხვა საქართველო სად არის“; ღონისძიების მიზანი იყო მოსწავლეთა საქართველოს ისტორიით დაინტერესება; სხვადასხვა კუთხის უკეთ გაცნობა. ღონისძიების ორგანიზატორი: პედაგოგი - ლელა გაბრავა	05.12.12
19.	„და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს...“	V კლასის, ლადო ასათიანისადმი მიძღვნილი ლიტერატურული სადამო. პროექტის ხელმძღვანელი (მასწავლებელი): მაია გვარამია	21.12.12
20.	პატარა მეცნიერები	სკოლა „აპოდიქსის“ VII კლასში ჩატარდა ღია ინტეგრირებული გაკვეთილი საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო საგნებში (პედაგოგი - ნანა იოსავა); მოსწავლეებმა გამოფინეს საინტერესო ნამუშევრები: სხვადასხვა მასალისგან დამზადებული რელიეფური რუკები, ადამიანის ჩონჩხი, თავის ქალა, გულის აგებულება და ა.შ. VII კლასის ყველა მოსწავლე დაჯილდოვდა სიგელით.	01.03.13
21.	„ხმა ზარებისა“	2 აპრილს X-XI კლასის მოსწავლეებმა, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის - ეკატერინე ბარამიას ხელმძღვანელობით, მოაწყვეს სკოლა „აპოდიქსის“ დამფუძნებლის ქალბატონ ბეატრის რუსიას წიგნის, „ხმა ზარებისა“, პრეზენტაცია. მოსწავლეებმა მშვიდად, გულით მოიტანეს	02.04.13

		მსმენელამდე სათქმელი, შთამბეჭდავად წაიკითხეს და საინტერესოდ განიხილეს ლექსთა კრებული, რომელიც ამავე დროს ავტორის მიერ განვლილი ცხოვრების ერთგვარი სულის ამოძახილია.	
22.	ერის ტკივილი	9 აპრილს, სკოლა „აპოდიქსში“ მოეწყო V კლასის ღონისძიება (ხელმძღვანელი - მაია გვარამია). ღონისძიების მიზანი იყო პარტიოტიზმისა და ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი პატივისცემის გრძნობის აღზრდა. მოსწავლეებმა მოიძიეს მასალები საქართველოს უახლოესი ისტორიიდან და წარმოადგინეს მხატვრულ - მუსიკალური კომპოზიცია - „9 აპრილი, მოუშუმებელი იარა“; მათ გააცოცხლეს ისტორიული რეალობა, თავადაც გაითავისეს და სხასაც განუახლეს ის ტკივილი, რაც ჩვენმა ერმა გადაიტანა 24 წლის წინ.	09.04.13
23.	„ინტელექტის დღე“	აპრილს სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტში - „ინტელექტის დღე“. პროექტის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს სპორტისა და ახალგაზრობის საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს კლუბი „რა? სად? როდის?“ „აპოდიქსელებმა“ წარმატებით იასპარეზეს და ფინალურ ქულას, სულ რაღაც, 2 ქულით ჩამორჩნენ. საერთო ჯამში, მათ შეძლეს 10 ქულის მოპოვება. „აპოდიქსის“ ნაკრების წევრთა შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: ზ.ქარდავა, ლ.გოროზიანი, ბ.ფაჩულია, ც. გაბელია, გ. გვასალია, გ. ხორავა, მ. გოგია, ნ. ქეცბაია	13.04.13
24.	„სიყვარულის ფერები“	15 აპრილს, სიყვარულის დღესთან დაკავშირებით, სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - „სიყვარულის ფერები“ (ხელმძღვანელი - მაია ოდიშარია). ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს VII და IX კლასის მოსწავლეებმა.	15.04.13
25.	სტუმრად	სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს მეგობარი სკოლა „არეას“ კურსდამთავრებულთა ბოლო ზარისადმი მიძღვნილ კონცერტში, რომელიც 3 ივნისს ქ. ხობის კულტურის სახლში გაიმართა	03.06.13
26.	კვირეული - ჯადოსნური ზაფხულის დასაწყისი	სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლეებმა 2012 – 2013 სასწ. წლის დასასრული ღონისძიებების კვირეულით აღნიშნეს.	04 – 10 06.2013
27.	პირველ კლასელებს	„აპოდიქსის“ პირველ კლასელებს საჩუქრად გადაეცათ ჩანთები და სახელმძღვანელოები; სახალისო საჩუქრები; წლის განმავლობაში, სკოლა მათ უზრუნველყოფს ერთჯერადი კვებით; სასწავლო წლის განმავლობაში, ასევე, ელოდებათ წამახალისებელი საჩუქრები...	16.09.13
28.	წიგნები	2013-2014 სასწავლო წელს, სკოლა „აპოდიქსიმა“, მოსწავლეები უზრუნველყო სახელმძღვანელოებით (50%)	02.10.13
29.	საატესტატო გამოცდები	სკოლა „აპოდიქსის“ XII კლასის ყველა მოსწავლემ წარმატებით ჩააბარა საატესტატო გამოცდები.	15.10.13
30.	„რა? სად? როდის?“	სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა ინტელექტუალური შეჯიბრი „რა? სად? როდის?“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სკოლა „აპოდიქსის“ და მეგობარი სკოლა „არეას“ XII კლასის მოსწავლეებმა. გამარჯვება მოიპოვეს „აპოდიქსის“ XII კლასელებმა. გამარჯვებული და მონაწილე მოსწავლეები	07.11.13

		დაჯილდოვდნენ სიგელებით.	
31.	ინტელექტ - ტესტი	11 ნოემბერს სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა ტესტირება X, XI და XII კლასებში; ტესტირების შედეგად გამოვლენილი მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ ინტელექტუალურ თამაშში - „ეტალონი“.	11. 11. 13
32.	პირველკლასელებს	პირველკლასელთა წამახალისებელი საჩუქრები გრძელდება - მათ საჩუქრად გადაეცათ დამატებითი სახელმძღვანელოები ინგლისურ ენაში.	11.11.13
33.	„ჯანსაღი ცხოვრება – ჩვენი არჩევანია!!“	სკოლა „აპოდიქსის“ მოსწავლე - მარიამ გოგია (XI კლ.) მონაწილეობას იღებს პოსტერებისა და ნახატების კონკურსში – „ჯანსაღი ცხოვრება – ჩვენი არჩევანია!!“	15.11.13
34.	„ეტალონი“	სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა ინტელექტუალური ღინისძიება „ეტალონი“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ტესტირების გზით შერჩეული X, XI და XII კლასის მოსწავლეები. გამოვლინდა „აპოდიქსის“ ნოემბრის თვის „ეტალონი“ – ბაჩუკი ფაჩულია; გამარჯვებულს გადაეცა სიგელი და ფასიანი საუქრები.	20.11.13
35.	მეგობრული ექსკურსია	გ. ტაბიძის დაბადების დღეს, სკოლა „აპოდიქსის“ და სკოლა „არეას“ VII, VII და IX კლასელთათვის მოეწყო ექსკურსია გალაკტიონ ტაბიძის სახლ - მუზეუმში. შემეცმნებითი სახის ექსკურსია საკმაოდ საინტერესო იყო მოსწავლეთათვის, მათ წაიკითხეს გალაკტიონის სტრიქონები, გამართეს მხიარული ცეკვა-თამაში და სასიამოვნო შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ შინ.	24.11.13
36.	მეგობრული მატჩი	29 ნოემბერს სკოლა „არეაში“ ჩატარდა მეგობრული საფეხბურთო მატჩი სკოლა „არეას“ და სკოლა „აპოდიქსის“ მეათე კლასელებს შორის (პედაგოგები: გოდერძი ჭანტურია და მერაბ წულუისკირი); გამარჯვება მოიპოვეს „აპოდიქსელებმა“.	29.11.13
37.	ინტელექტ-ტესტი VIII - IX კლასებში	2 დეკემბერს სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა ტესტირება VIII და IX კლასებში; ტესტირების შედეგად გამოვლენილი მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ ინტელექტუალურ თამაშში - „ეტალონი“.	02.12.13
38.	შემაჯამებელი ტესტირება	სკოლა „აპოდიქსში“ 18 დეკემბრიდან 23 დეკემბრის ჩათვლით, ჩატარდება პირველი სემესტრის შემაჯამებელი ტესტირება ყველა საგანში.	18-23 12.2013
39.	„ეტალონი“	სკოლა „აპოდიქსში“ ჩატარდა ინტელექტუალური ღინისძიება „ეტალონი“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ტესტირების გზით შერჩეული VIII – IX კლასის მოსწავლეები. გამარჯვება მოიპოვა გიორგი ხორავამ, რომელსაც გადაეცა სიგელი და შემეცნებითი - რელიგიური სახელმძღვანელო.	18. 12. 13
	საახალწლო კვირეული სკოლა „აპოდიქსში“	საახალწლო კონცერტების კვირეული სკოლა „აპოდიქსში“ ყველა კლასის მონაწილეობით	16-23 12.2013
40.	სიურპრიზები გრძელდება	„აპოდიქსის“ I კლასელებს, სკოლის დირექციისაგან, საახალწლოდ გადაეცათ ბუკები.	23.12.13

დამატებითი ინფორმაცია, ასევე, ფოტო და ვიდეო მასალა, შეგიძლიათ იხილოთ სკოლა „აპოდიქსის“ ვებ-გვერდზე - skolaapodiqsi.edu.ge და სკოლის facebook -ის გვერდზე - [Skola Apodiqsi](https://www.facebook.com/SkolaApodiqsi)